ბ. პაიჭაძის სახელობის თასის გათამაშება

1 მარტს დაიწყო ბ. პაიჭაძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში.

პირველი მატჩი კალენდრის მიხედვით უნდა შემდგარიყო აჭარისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის, მაგრამ ვინაიდან აჭარის ნაკრები გათამაშებაზე არ ჩამოვიდა, თბილისელები შეხვდნენ ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდს.

ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ღირსეულად ჩაატარეს მატჩი და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგეს მოწინააღმდეგესთან - 0:1.

ყურადღების ცენტრში იდგა შეხვედრა თბილისის გუნდებს "დინამოსა" და "ლოკომოტივს" შორის. მართალია, "დინამო" გათამაშებაში დუბლიორთა შემადგენლობით გამოდის, მაგრამ როცა მინდორზე არიან ჩოხელი, სიჭინავა, დალაქიანი, ბარქაია, მელაშვილი და ხუნდაძე, გუნდს შეიძლება მოეთხოვოს გაცილებით მეტი, ვიდრე ეს ჩვეულებრივ დუბლიორებს მოეთხოვება.

რა თქმა უნდა, საქმე იმაში არაა, რომ "დინამოს" ამ შემადგენლობამ წააგო მატჩი "ლოკომოტივთან". სავსებით ბუნებრივია, რომ "ბ" კლასის ოსტატებმა მოიგონ ასეთი შეხვედრა. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ "ა" კლასის ძირითად გუნდში ნათამაშები ფეხბურთელები მოქმედებენ ასე უსისტემოდ და არასწორად, ყოველგვარი სარგებლობის გარეშე.

შედარებით უკეთესად თამაშობდა დაცვა, მაგრამ თავდასხმაში სრული ქაოსი სუფევდა. ზეინკლიშვილი (№11) ხშირად შედიოდა შუა მოედანში, სადაც სალუქვაძესთან (№10) და მელაშვილთან (№9) ერთად ქმნიდა შეჯგუფებას. მათ ხშირად უერთდებოდა სიჭინავაც (№6) და ცხადია, 4 მოთამაშე მცირე ტერიტორიაზე მხოლოდ ხელს უშლიდა ერთმანეთს. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში გამოთიშული იყო თამაშიდან დალაქიანი (№7).

"ლოკომოტივმა" კარგად ჩაატარა მატჩი, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი. ყურადღებას იპყრობს გუნდის კოლექტიურობა, საერთო შეთამაშება და დიდი ბრძოლისუნარიანობა. თავდამსხმელები ყოველთვის ცდილობენ თავისუფალ პოზიციაში მიიღონ ბურთი მისი შემდგომი გათამაშებისათვის. დაცვაში და ნახევარდაცვაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა მოთამაშეთა ურთიერთდაზღვევამ.

"ლოკომოტივის" მარცხენა შუამარბმა ცერცვაძემ ყოველ ტაიმში თითო ბურთი გაიტანა და რკინიგზელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

გუშინ შედგა გათამაშების ორი მატჩი. თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს და აფხაზეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაში გამარჯვებულის საკითხი სულ იოლად გაირკვა. აფხაზეთის გუნდი მოუმზადებელი ჩამოვიდა შეჯიბრებაზე და ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რესპუბლიკის ჩემპიონს. მატჩი მოიგეს თბილისელებმა დიდი ანგარიშით - 8:2.

ქუთაისის ტორპედოელებმა სწრაფ ტემპში, დიდი მონდომებით დაიწყეს მატჩი თბილისის არმიელთა წინააღმდეგ. 25-30 წუთის განმავლობაში უპირატესობა მათ მხარეს იყო, მაგრამ თავდამსხმელები ვერ პოულობდნენ გზას იერიშის დასამთავრებლად. თუმცა საამისო შესაძლებლობა ჰქონდათ ჟორდანიასა და ზარდანიას. ტაიმის დასასრულს ქუთაისელ ფეხბურთელებს შესამჩნევად დაეტყოთ დაღლა და მინდორს მთლიანად არმიელები დაეპატრონნენ. რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა ვერ გამოიყენეს ივანოვმა, გორეშნევმა, კურტანიძემ.

მეორე ტაიმი პირველის ზუსტ გამეორებას წარმოადგენდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ "ტორპედოს" იერიში უფრო მცირე ხანს გრძელდებოდა. მატჩის

დასასრული თითქმის მთლიანად ქუთაისელთა ნახევარზე ჩატარდა და კვლავ უშედეგოდ. სკვო-ს თავდამსხმელთა დარტყმები მიდიოდა ყველგან, გარდა კარისა. მატჩი დამთავრდა ფრედ - 0:0.

რ. ქორიძე.
3 მარტი, 1959 წ.